ხელშეკრულება
საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ

გორი, საქართველო, 2012 წლის 7, ივნისი

ბანკი:

საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი" - შიდა ქართლის რეგიონალური ფილიალი 264
მისამართი:	კახნიაშვილის 11
საიდენტიფიკაციო ნომერი:	203828304
წარმომადგენელი:	ფილიალის მმართველი/სერვის ცენტრის მენეჯერი
სახელი და გვარი	ვლადიმერ ბლაგიძე

კლიენტი:

საფირმო სახელწოდება:	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა
მისამართი:	სოფელი საქაშეთი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	218049332
წარმომადგენელი:	დირექტორი
სახელი და გვარი	ციცინო ტარუაშვილი

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ბანკი კლიენტს უხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს მას საბანკო მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

1.2. ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განცხადებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების ბანკისთვის წარდგენის საფუძველზე.

1.3. კლიენტის და ბანკის ფინანსური ურთიერთობა მთლიანად წესრიგდება კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და ბანკის ტარიფებით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

2. **მხარეთა განცხადებები და გარანტიები:**

2.1 კლიენტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ან/და პირობებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

2.1.1. აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით და განაცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

2.1.2. კლიენტის მიერ ბანკისთვის განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

2.1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

2.1.4. კლიენტი არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე;

2.1.5. კლიენტი არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).

2.1.6. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;

2.1.7. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან;

2.1.8. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება ბანკის უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ კლიენტი ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, კლიენტი თანახმაა ბანკს აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

3. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

3.1. **ბანკი იღებს ვალდებულებას:**

3.1.1. დროულად და კლიენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ზუსტი დაცვით აწარმოოს საბანკო ოპერაციები და მათი წარმოებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

3.1.2. კლიენტის დავალებით (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კლიენტის დავალების გარეშეც) ჩამოწეროს შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშზე მათი ჩარიცხვის მიზნით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები;

3.1.3. კლიენტის მოთხოვნით მიაწოდოს მას ამონაწერი მისი საბანკო ანგარიშიდან ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია მისი ანგარიშის და ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციათა შესახებ. ამონაწერის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში მასში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად.

3.2. **ბანკს უფლება აქვს:**

3.2.1. მოსთხოვოს კლიენტს მის ანგარიშზე ოპერაციის განხორციელების ეკონომიკური დასაბუთება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის და დოკუმენტის წარმოდგენა;

3.2.2. დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსის სახით;

3.2.3. კლიენტის ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს საბანკო მომსახურებისთვის შეთანხმებული ტარიფები, ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი დავალიანების თანხები, ბანკის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები. ამასთან, ამ თანხების ჩამოწერა შესაძლებელია კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან სხვადასხვა ვალუტაში, კონვერტაციის საჭიროებისას ექვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კურსით;

3.2.4. ცალმხრივად შეცვალოს შეთანხმებული ტარიფები, კლიენტისთვის არნაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. თუ 10 დღის განმავლობაში ბანკი კლიეტნისაგან არ მიიღებს შეტყობინებას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება შეცვლილი ტარიფებით;

3.2.5. კლიენტის მიერ ხელშეკრულებ[illegible] ვალდებულებების შეუსრულებლ[illegible] შესრულების შემთხვევაში, [illegible] წინამდებარე

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ნებისმიერ და ყველა ვალდებულებაზე;

3.2.6. შეაჩეროს ან/და არ განახორციელოს საბანკო ოპერაცია, თუ ოპერაცია მიზნად.ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ტერორიზმსა და სხვა საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დაფინანსებას.

3.3. **კლიენტი იღებს ვალდებულებას:**

3.4. ანგარიშის წარმოებისთვის გაწეული მომსახურების გაწევისთვის გადაუხადოს ბანკს საკომისიო შესაბამისი მომსახურების გაწევის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

3.4.1. ბანკის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას საბანკო ოპერაციის ეკონომიკურ დასაბუთებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი;

3.4.2. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება აცნობოს ბანკს წერილობით ცვლილებიდან ხუთი დღის ვადაში. აღნიშნული ცვლილების ბანკისათვის შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს;

3.4.3. ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის მოთხოვნასთან ერთად ბანკს წარუდგინოს ახალი ანგარიშის გასახსნელად კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები.

3.4.4. შეცდომით ჩარიცული თანხების გამოყენების ან/და გადახარჯვის შემთხვევაში დაუბრუნოს ბანკს აღნიშნული თანხა და გადაუხადოს ბანკს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0,5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველი დღეზე.

3.5. **კლიენტს უფლება აქვს:**

3.5.1. მისცეს ბანკს ისეთი დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, რომლებიც არ არის კანონმდებლობით აკრძალული და მიზნად არა აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია ან კანონსაწინააღმდეგო ქმედების დაფინანსება;

3.5.2. მიიღოს ამონაწერი ანგარიშზე ნაშთისა და განხორციელებული ოპერაციების შესახებ. ამონაწერის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში მასში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად;

3.5.3. მესამე პირებზე გასცეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა ანგარიშებზე ოპერაციების საწარმოებლად;

3.5.4. ისარგებლოს ბანკის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების სახეებით.

4. ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები:

4.1 კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4.2 ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ანგარიშებზე შემოსული თანხების ჩარიცხვას და კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

4.3 კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც კლიენტი ბანკს მიაწოდებს წერილობითი, ტელეფონით, ელექტრონული საშუალებით ან ბანკისთვის მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტის დავალებები წერილობით არ არის განხორციელებული და ხელმოწერილი კლიენტის მიერ, ბანკს უფლება აქვს მიიღოს და განახორციელოს იგი საუთარი შეხედულებსამებრ, ბანკში დადგენილი წესით.

4.4 ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობისთვის მისთვის მისაღები ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:

4.4.1 ვერ ხერხდება კლიენტის იდენტიფიკაცია;

4.4.2 დავალება შედგენილი და წარმოდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავას არაზუსტ ინფომაციას;

4.4.3 დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანგარიშებზე ოპერაციების წარმოების სისწორისა და დროული შესრულებისათვის;

5.2 მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული, ან გამოწვეულია კლიენტის მიერ ბანკისათვის არასწორი ინფორმაციისა და/ან არასწორი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გადაცემით.

5.3 ამ ხელშეკრულების პირობების მიუხედავად, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია ბანკის პასუხისმგებლობა მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან;

5.4 ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის დავალებით განხორციელებული ოპერაციის შედეგებზე.

5.5 კლიენტი პასუხისმგებელია ანგარიშის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტების უტყუარობაზე;

5.6 კლიენტი პასუხსიმგებელია ყველა ოპერაციაზე რომელიც ანგარიშზე განორციელდება ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ.

5.7 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკულებით ნაკისრი ვალდებულებსი შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, გაფიცვა, ბლოკადა, სამხედრო მოქმედება, მასობრივი არეულობა, სახელმწიფო ორგანოების აქტი ან ქმედება და სხვა). ფორსმაჟორული გარემოების დადგომისას მხარე, რომელიც აღნიშნული გარემოების გამო ვერ ახერხებს ხელშეკრულებით ნაკისი ვალდებულების შესრულას, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

5.8 ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

6. გადასახადები

6.1 კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ პირობების შესაბამისად. კლიენტი აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, ბანკი თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, ბანკი ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას კლიენტის ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად ბანკს ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს ბანკს ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია ბანკის რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

6.2 ბანკი ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანომდებლობასთან ერთად კლიენტმა უნდა დააკმაყოფილოს სხვა ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები თუ კლიენტი არის შესაბამისი ქვეყნის რეზიდენტი.

7. კონფიდენციალურობა

7.1 მხარეები ვალდებულნი არიან [illegible] ერთმანეთის რეპუტაციას, დაიცვან [illegible] ინფორმაციის (პირობების) საიდუმლოება [illegible]

203828304 LB № 264 LBRTGE22 LIBERTY BANK GEORGIA ბანკი KARTLI GORI
სოფელ ... MUNICIPALITY VILLAGE SAKASHETI PUBLIC LEGAL ENTITY

პირობებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2 ბანკს უფლება აქვს გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს ბანკის ხელთ არსებული ინფორმაცია კლიენტის შესახებ, კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ კლიენტის მიერ ნებარდართულ პირებს, ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს,

7.3 კლიენტის ანგარიშის სათანადოდ ადმინისტრირების და მომსახურების მიზნით, ბანკს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს ინფორმაცია კლიენტის მიერ ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

7.4 ბანკს უფლება აქვს, რაზედაც კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას, გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის მიერ საბანკო მომსახურებით სარგებლობის შესახებ და გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია ბანკის შვილობილ და მონათესავე საწარმოებს მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შემოთავაზებების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია ბანკის მიერ მოპოვებული იქნება სხვადასხვა წყაროებიდან, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის მიერ შევსებულ განაცხად(ებ)ს, კლიენტის მიერ განხორციელებული საბანკო ოპერაციებს, გამოკითხვებს და კვლევებს და ასევე სხვა გარე წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

7.5 კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მისი დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

7.5.1 საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში სს კრედიტინფო საქართველოს" მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

7.5.2 მისცეს თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს", რომ ბანკის მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსათვის" მიწოდებული კლიენტების მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო საქართველომ" გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ მიწოდებული კლიენტის მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან სს „კრედიტინფო საქართველოს" აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება სს „კრედიტინფო საქართველოსთან";

7.5.3 მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში არსებული კლიენტის მონაცემები.

8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ აღნიშნულ დავის საგანთან დაკავშირებით, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების მოშლასთან, შეწყვეტასთან ან ბათილობასთან დაკავშირებით, დავა გადაწყვეტილი უნდა იქნას სასამართლოს მეშვეობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ანგარიშ(ებ)ის დახურვა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით. ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით, თუ მისი ვადის გასვლამდე რომელიმე მხარე არ გამოთქვამს მისი შეწყვეტის სურვილს.

9.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.2.1 მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

9.2.2 რომელიმე მხარის მიერ ცალმხრივად, მეორე მხარისთვის არანაკლებ წინასწარ 10 (ათი) საბანკო დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ;

9.2.3 ბანკის მიერ ცალმხრივად, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში;

9.2.4 მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.3 ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისას კლიენტის ანგარიშ(ებ)ი დაიხურება, ხოლო მასზე არსებული ნაშთი (ასეთი არსებობისას) ბანკის საკომისიოს და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების გამოკლებით ექვემდებარება კლიენტისთვის დაბრუნებას.

10. დასკვნითი დებულებები

10.1 ბანკის წინასწარი შეტყობინების გარეშე კლიენტი უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს;

10.2 იმ შემთხვევაში თუ ბანკი გამოიყენებს 10.1. პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, კლიენტი თანხმობას აძლევს ბანკს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს კლიენტის ან/და კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას კლიენტის კანონის მიერ უფლებებზე.

10.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

10.4 კლიენტის მიერ ბანკიდან ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა;

10.5 ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე, თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც კლიენტის მიერ წინასწარ არის მითითებული;

10.6 თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობითი ფორმით.

10.7 ბანკის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება არ ნიშნავს იმას, რომ ბანკი უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოუყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას.

10.8 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;

10.9 წინამდებარე ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

10.10 ხელშეკრულება სავალდებულო იქნება და შესაბამისი იურიდიული ძალა ექნება მხარეების შესაბამისი მემკვიდრეების და უფლებამონაცვლეების მიმართ.

10.11 მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ბანკის მისამართი.

10.12 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმის დაცვით.

10.13 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის ერთი პირი ინახება ბანკში, ხოლო მეორე გადაეცემა კლიენტს.

ბანკი

ლიბერთი ბანკი - ფილიალი ფიროსმანი LIBERTY BANK - SHIDA KARTLI GORI 20382830 4 №264 LBRTGE22

კლიენტი